პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება №05

2019წ. "17" 01

ქ.თბილისი

შპს კოლეჯი ხვალინდელი წარმატებისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 25-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და 30[1]-ე მუხლის მე-10 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს კოლეჯს ხვალინდელი წარმატებისთვის (ს/კ:404506502) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით	კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტები სათვის	კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტები სათვის	სწავლების ენა	ადგილების ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები
1	საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B1.1) (1)	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში 041665	127.5	127.5	ინგლისური	30	ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. №191გ

2	საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურება (B2) (1)	მეხუთე	მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია საჰაერო ხომალდების ტექნიკურ მომსახურებაში 041665	121.5	121.5	ინგლისური	30	ქ. თბილისი, ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. №191გ

(1) - აღნიშნავს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;
(2) - აღნიშნავს ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50%-ზე მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში.

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 იანვრის №1 სხდომის ოქმის მეხუთე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე